



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF DEDOPLISTSKARO MUNICIPALITY



ბრძანება: **ბ56. 56240113**

თარიღი: **11/01/2024**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85 ³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85 ⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის შენებლობის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურსა

და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე 09 სთ-დან 18 სთ-მდე 2024 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

სოლომონ ღორაშვილი ტელ. 599 85 59 47 solomongorashvili@yahoo.com

სოფ. ზემო მახხაანი - გიორგი იაკობიშვილი ტელ. 599 85 59 12

სოფ. მირზაანი - აკაკი ლობჯანიძე, ტელ. 555 57 75 47

სოფ. არბოშიკი - მურადი ელაშვილი, ტელ. 599 91 51 87 ,

სოფ. გამარჯვება - ზვიადი ზვიადაური, ტელ. 555 22 09 08 zzviadauri95@yahoo.com

სოფ. ოზაანი - ვანო ბენაშვილი, ტელ. 599 424 524

სოფ. ხორნაბუჯი - მერაბი მაძღარაშვილი, ტელ. 599 85 58 69

სოფ. სამრეკლო - ოთარ ნასრაშვილი, ტელ. 595 41 44 14

სოფ. ზემო ქედი - ბეჟანი სუხაშვილი, ტელ. 599 85 59 19

სოფ. არხილოსკალო - იოსებ კობაიძე, ტელ. 599189318, sosokobaidze@mail.ru

სოფ. ქვემო ქედი - ალექსი დოჯურიშვილი, ტელ. 591 97 72 61

სოფ. სამთაწყარო - ჯემალი დიმიტრაძე ტელ. 595 14 50 41N

სოფ. ფიროსმანი - ვალიკო აბაშიძე, ტელ. 599 85-59-23

სოფ. საბათლო - კარენ მუსაელიანი, ტელ. 599 85-59-24

7. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

8. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა N15) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

